# ანბანური სიტყვების კედელი

მოსწავლეები კითხულობენ სიტყვის ბარათებს და ამოიცნობენ სიტყვის პირველ ასოს.

| მოსმენილის გაგება | ფონოლოგიური უნარები | ანბანის ცოდნა ⇩ | სიტყვების დეკოდირება და ცნობა ⇩ | ლექსიკური მარაგი | გაწაფული კითხვა | გაგება-გააზრება | წერა |
|---|---|---|---|---|---|---|---|

**კლასი:** I

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური, წყვილები. **რესურსი:**

ასოების ბარათები, სიტყვის ბარათები, წებოვანი ლენტი.

**მსვლელობა**

- მასწავლებელი ამზადებს სიტყვის ბარათებს და თითოეულს უკან აკრავს წებოვან ლენტს (შესაძლებელია, ბარათები მისაწებებელი ფურცლების (სტიკერების) გამოყენებითაც დამზადდეს) და დაურიგებს მოსწავლეებს.
- მასწავლებელი დაფის ზედა ნაწილში ჰორიზონტალურად მიაკრავს ანბანის რამდენიმე ასოს.
- მოსწავლეები თავიანთ ბარათებს აკრავენ შესაბამის ადგილას – იმ ასოს ქვეშ, რომელზედაც იწყება ესა თუ ის სიტყვა.

**შენიშვნა:** შეიძლება მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვოს თითოეული სიტყვის გასწვრივ შესაბამისი გამოსახულების მიხატვა, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სიტყვების უკეთ დამახსოვრებას, მეორე მხრივ კი, პროცესს უფრო სახალისოს გახდის.

მასტერკლასი ანბანური სიტყვების კედლის შესახებ იხილეთ აქ: https://www.youtube.com/watch?v=EQz7Zc22F9A&t=6s

**ნიმუში**




